გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №71

დ. ჩხოროწყუ, 1 ივნისი 2012 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1 ერთის მხრივ, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობა, შემდგომში „შემსყიდველი" მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ შელია-ს სახით და მეორეს მხრივ შპს „დ-110" -ის დირექტორი დემურ კვარაცხელია შემდგომში „მიმწოდებელი" სახით

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება

2.1 „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლეწურწუმეს თემში სოფლის მხარდამჭერის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაზე: წყლის სისტემის რეაბილიტაცია-2135ლარი,ელ.წისქვილის რეაბილიტაცია-5238ლარი, სიდა გზების რეაბილიტაცია-16863ლარი, ამერიკული თეთრი პეპელას შესაწამლი აპარატის შეძენა-1200ლარი.
ნაგვაზუს უბანი: წყლის სისტემის რეაბილიტცია-4074ლარი, გზების რეაბილიტაცია-3268ლარი, წისქვილების რეაბილიტაცია-485ლარი, ამერიკული თეთრი პეპელას შესაწამლი აპარატის შეძენა-600ლარი.
ჯუმითის უბანი:წყლის სისტემის რეაბილიტაცია-5820ლარი,წისქვილის რეაბილიტაცია-388ლარი, გზების რეაბილიტაცია-4363ლარი, ამერიკული თეთრი პეპელას შესაწამლი აპარატის შეძენა-600ლარი.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" შესრულებული სამუშაოების ჯამური ღირებულება 45023 (ორმოცდახუთიათასოცდასამი) ლარის ოდენობით.

4. შესასყიდი სამუშაოს ხარისხი სტანდარტებთან შესაბამისობა

4.1 „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას მიაწოდოს „შემსყიდველს" ზემოთ აღნიშნული სამუშაო არსებული ნორმებისა და წესების მიხედვით. ხელშეკრულების ფარგლებში მისაწოდებელი სამუშაო უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.
4.2 შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას შესყიდვის ობიექტის მიღებაზე თუ მიმწოდებელმა მიაწოდა უხარისხო სამუშაო.

5. სამუშაოს მიწოდების ვადები

„მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას შეასრულოს აღნიშნული სამუშაო 2012 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით.

6. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე (ფორმა №2).
6.2 შესყიდვის ობიექტის მიღების და ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტების ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი"

7. ანგარიშსწორების ფორმა

7.1 ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან" განხორციელდება შესრულებული სამუშაოს ღირებულებაზე.

7.2 „მიმწოდებლის" მიერ საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში „შემსყიდველი" ახორციელებს მის ავანსირებას არაუმეტეს ხელშეკრულებით ღირებულების 40-50%-ისა.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისათვის

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს შემსრულებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

10. ფორს-მაჟორული სიტუაციები

10.1 ფორს-მაჟორული გარემოების შედეგად ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა ათავისუფლებს ორივე მხარეს საჯარიმო სანქციების გამოყენებისაგან.

10.2 ფორს-მაჟორული გარემოების დადგომისთანავე „მიმწოდებელი" „დამკვეთს" შეგზავნის შეტყობინებას ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოების გარდა „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოყენებული იქნება საჯარიმო სანქცია შესყიდვის თანხის 1.5 %-ის ოდენობით.

11. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა

ხელშეკრულების მოქმედების პროცესში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოზე საბაზო ფასების ცვლილებიდან გამომდინარე შესყიდვის ობიექტის ღირებულება არ გადაისინჯება და ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრები არ შეიცვლება.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია 2012 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით.

13. დავების გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყოველ ღონეს იხმარენ რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 დღის განმავლობაში დამკვეთი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართონ სასამართლოს.

14. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ინსტრუქციების პირობები

14.1 „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ინსპექტირების შემდეგ გამოვლენილი ყველა ნაკლის აღმოფხვრა.

15. განსაკუთრებული პირობები

15.1 ყოველივე ზემოთ თქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის	შპს „დ-110"
გამგებელი /მ. ჯაფარიძე/	დირექტორი: /დ.ბაბალაცხელია/
მის:დ.ჩხოროწყუ, ა.დადიანის ქუჩა №1	დ.ჩხოროწყუ, წერეთლის 2
სს „ლიბერთი ბანკი" ჩხოროწყუს ფილიალი	სს „ლიბერთი ბანკი" ჩხოროწყუს ფილიალი
ანგ №GE36LB0120165024153000.	ანგ №GE23LB0113178013436000
ბ/კოდი: LBRTGE22	ბ/კოდი: LBRTGE22
ს/კ: 242268791	ს/კ: 242272269

შემსრულებელი: გ.ხოკორაია